ღვარცოფული ნაკადები და საანგარიშო მახასიათებლები

თორნიკე ხოხონიშვილი

ელ.ფოსტა: tornike.khokhonishvili2013@ens.tsu.edu.ge;
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

დედამიწაზე მიმდინარე პროცესები ადამიანისთის გამოწვევა იყო, არის და იქნება მომავალშიც. განსაკუთრებით კი გამოსაყოფია სტიქიური პროცესები, რომლებიც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის საქმიანობაზე რაც რეალურად საფრთხეს უქმნის სხვადასხვა პროცესების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ერთ-ერთი ასეთი რთული და დიდი ზიანის მომტანი საქართველოში ღვარცოფული პროცესებია რასაც არაერთხელ შეუქმნია სერიოზული პრობლემა საქართველოს სხვადასხვა რეგიონისთის და ყოფილა მსხვერპლიც.

ღვარცოფის სამომავლო პროგნოზირება და შესაბამისად მისი საანგარიშო სიდიდეების განსაზღვრა რთულ მეთოდოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავა იმისა რომ ამ სფეროში ბევრია გაკეთებული, საკითხი მაინც არ არის გადაჭრილი სასურველ დონემდე.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია/შედარებულია ორი სხვადასხვა ჰიდროლოგიურ რეჟიმის მდინარის ღვარცოფული ბუნება და შეფასებულია ღვარცოფული ნაკადის მახასიათებლები.